საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5342
16/09/2022

5342-21-2-202209161244

შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალს“
მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №15
ელ.ფოსტა: tamta.kapanadze.2@iliauni.edu.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4174 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. არახვეთში, ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №1 საცხოვრებელი ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, 3.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყალი იწმინდება 16 $მ^3$ წარმადობის მქონე ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობაში, ამასთან 3.2 ქვეთავში მითითებულია, რომ გამწმენდი ნაგებობის ხარჯია 24 $მ^3$ დღ/ღ., ამავე თავში მოცემულია გამწმენდი ნაგებობიდან წყლის მაქსიმალური საპროექტო ხარჯი, რომელიც შეადგენს 19.3 ლ/წმ-ს, ხოლო ჩამდინარე წყლების საშუალო წლიური ხარჯია 1,16$მ^3$/სთ. წარმოდგენილი მონაცემები ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას, ამასთან, მონაცემი წარმოდგენილ უნდა იქნას ერთ განზომილებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო